# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №94/გ

ქ. მცხეთა

25 ივნისი 2014 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი აბაშიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „საჯაშნიკე", მისი დირექტორის ჯუმბერ ტოგონიძის სახით, შემდგომში „მომწოდებელი", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (წარმომადგენლობითი ხარჯი) შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ლდს-ჩარიტი"-ს დელეგაციის წარმომადგენლების (ინვალიდის ეტლების განაწილებასთან დაკავშირებით) სადილით მომსახურება; (CPV:55300000).

## 2. მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების ვადაა 2014 წლის 25 ივნისი.
2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 365.50 (სამასსამოცდახუთი ლარი და ორმოცდაათი თეთრი).

## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:
4.1.1 უზრუნველყოს სტუმრების სადილით მომსახურეობა.
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვა ხელშეკრულების პირობები.
5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქ განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.
5.3 მომსახურეობის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს მომსახურეობის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გაწეული მომსახურეობის ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგა იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულები პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექს 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობები გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8 ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს მოახდენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მთ.სპეციალისტი ლალი ასლანიშვილი და ადმინისტრაციული სამსახურის საინფორმაციო განყოფილების მთ. სპეციალისტი ლელა ერონდიძე.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

*„მომწოდებელი"*
*შპს „საჭაშნიკე"*
*ს/კოდი: 236033092*
*ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"*
*ცენტრალური ფილიალი*
*ბ/კ* **LBRTGE22**
*ა/ა* **GE81LB0113158702237001**

*მის: ქ. მცხეთა, ხოფ. მუხათგვერდის მიმდებარე ტერიტორია*
*დირექტორი*
*რ. ტოგონიძე*

*„შემსყიდველი"*
*მცხეთის მუნიციპალიტეტი*
*ს/კოდი: 236094196*
*ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს*
*მცხეთის ფილიალი*
*ბ/კ* **LBRTGE22**
*ა/ა* **GE93LB0120130269077000**

*მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7*

*საკრებულოს თავმჯდომარის*
*მოადგილე*

*გ. აბაშვილი*